

წიგნი საშიში მორევებით

ავტორი [ირმა ტაველიძე](#)

უკრაინელი მწერალი. გერმანელი მწერალი. რომელი დავწერო? შესაძლებელია, რომ თანაბრად იყო უკრაინელიც და გერმანელიც – თითქოს ატმის მწიფე ნახევრები გეწყოს ხელისგულებზე და წონიდე: რომელი უფრო მძიმეა? რომელი უფრო წვნიანია? კატია პეტროვსკაიას ბედისწერაა, რომ პასუხები დიდხანს უნდა ეძებოს და შენც გაძებნინოს – მისი მონათხრობით, მონათხრობის ენით მოხიბლულ მკითხველს.

2018 წლის მაისში, თბილისში გამართულ წიგნების ფესტივალზე გავიცანი. რაღაცაზე ვიცინეთ. რაღაც ისეთიც მითხრა, ბერლინზე ჩემს წარმოდგენას რომ არ დაემთხვა. და მას შემდეგ ვფიქრობდი, რომ ნამდვილად მაშინ გავიცნობდი, როცა მის წიგნს წავკითხავდი.

„ალბათ ესთერი“. კითხვა შიშით დავიწყე – ანოტაციებს, კრიტიკოსების თავბრუდამხვევ შეფასებებს არ ვენდობი ხოლმე. საიდან უნდა მცოდნოდა, რა დამხვდებოდა? პირველივე გვერდები დამაიმედებელი აღმოჩნდა – ეს ის მწერალი არ იყო, მკითხველს რომ დაინდობდა, მარტივი ისტორიებით, სახელდახელოდ აწყობილი მოკლე წინადადებებით რომ გამოკვებავდა. რა კარგად წერს-მეთქი, – ვფიქრობდი ქვეთავიდან ქვეთავზე გადასვლისას, მერე რა, რომ გერმანულად დაწერილს კი არა, ქართულ თარგმანს ვკითხულობდი, რომელშიც მთარგმნელის ოსტატობის მიუხედავად, დანაკარგის ანგარიშგასაწევი წილი უნდა ყოფილიყო.

არა, ისეთი ამბავი არ არის, ბარის მდინარესავით რომ წაგიღებს, ნაპირებს რომ გულმოდგინედ დაგათვალიერებინებს. ბევრი ამბავია. ბევრი საშიში მორევი, რომელსაც ან დაადწევ თავს, ან ვერა. წარსულის ბნელ კონტინენტებს შორის ვერაგმა წყალმა ყოველ წუთს შეიძლება მოგისწრაფოს სიცოცხლე. თითქოს იცოდი იმის შესახებ, რაზეც წიგნშია მოთხრობილი, თითქოს წლების განმავლობაში აგროვებდი ცნობებს, მაგრამ მაინც მოუშადადებელი ხვდები ამდენი მხვერპლის, მათი დამზაფრელი სახეების გამოჩენას.

„ალბათ ესთერი“ ის წიგნია, საიდანაც სწავლობ, მიუხედავად იმისა, რომ მწერალი თავს მასწავლებლად ვერ ხედავს და მიზნადაც სულ სხვას ისახავს.

სკოლაში ისტორიას რომ ვასწავლიდე, ადგილებს შევარჩევდი და გაკვეთილებზე ხმამაღლა წავკითხავდი. გინდათ, იცოდეთ, რა ქვეყანა იყო მზეჩასვენებული საბჭოთა კავშირი? გინდათ, იცნობდეთ იმ ეპოქას, როცა „ყველაფერი ომით იზომებოდა“? გინდათ, ებრაელი გახდეთ და ებრაელის თვალთ დაინახოთ ის, რისთვის სახელის გამოძებნაც ასე ეძნელებოდათ? გინდათ, თავიდან ვისწავლოთ სიტყვა „ჰოლოკოსტი“?

„ბაბი-იარში პირველად ფსიქიატრიული კლინიკის პაციენტები დახოცეს, – ვკითხულობთ წიგნში. – ხრამის განაპირას, ფსიქიატრიული კლინიკის ტერიტორიაზე, მანქანებში მოწყობილ გაზის კამერებში მშვიდად ამოხოცეს. რამდენიმე დღეში ებრაელების ჯერი დადგა. აქ ორი წელი ხოცავდნენ: სამხედრო ტყვეებს, პარტიზანებს, კიევის ფლოტის მეზღვაურებს, ახალგაზრდა ქალებს, რეგიონის სხვა ებრაელებს, გამვლელებს, რომლებსაც ქუჩაში იჭერდნენ. გაანადგურეს

ბოშათა სამი ბანაკი, ხოცავდნენ მღვდლებსა და უკრაინელ ნაციონალისტებს, რომლებიც თავიდან გერმანელებთან თანამშრომლობდნენ და მერე მათ მსხვერპლად იქცნენ. სხვადასხვა გამოთვლით, ბაბი-იარში ასიდან ორასი ათასამდე ადამიანი დახოცეს. პლუს-მინუს ასი ათასი... ისიც კი არავინ იცის, ბაბი-იარი ერთი იყო თუ ორი“.

ბევრი რამ ისევ არ ვიცით. ბევრი ისეთი ამბავი, როგორსაც კატია პეტროვსკაია ჰყვება თავის წიგნში. თითქოს დაუჯერებელიც კია, რომ ერთი ოჯახის ისტორია ასე სრულყოფილად ირეკლავდეს მთელი ერის თავს დამტყდარ განსაცდელს – მრავალს, სათქმელად და წარმოსადგენად ძნელს. როგორია, დარწმუნებით იმის თქმაც კი არ შეგეძლოს, რომ მამაშენის ბებიას ესთერი ერქვა. ბაბუშკა. რამდენი ბაბუშკას კვალი დაიკარგა.

და ბოლოს, „ალბათ ესთერი“ ისეთი წიგნია, როგორზეც მწერლები ამბობენ ხოლმე – არ შემეძლო, რომ არ დამეწერაო. ალბათ კატია პეტროვსკაიასაც არ შეეძლო, მშვიდად ესეირნა ბერლინის ქუჩებში; ისე, თითქოს წარსულის ჩრდილებს ვერ ხედავდა – მისკენ ხელგაწვდილ ქალებს, კაცებს, მოხუცებს, ბავშვებს...